სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის წესი

შინაარსი

თავი I. ფინანსური მხარდაჭერის სახეები *3*

მუხლი 1. რეგულაციის მიზანი **3**

მუხლი 2. სტიპენდია **3**

მუხლი 3. ფინანსური დახმარება **3**

მუხლი 4. გარე დაფინანსების მოპოვება **3**

მუხლი 5. "Work-Study" პროგრამები **3**

მუხლი 6. სტუდენტური სესხები **4**

მუხლი 7. სტუდენტების კონსულტირება და ფინანსური განათლება **4**

თავი II. სტიპენდიის და ფინანსური დახმარების გაცემის წინაპირობები და პროცედურა *4*

მუხლი 8. სტიპენდიის გაცემის წინაპირობები **4**

მუხლი 9. ფინანსური დახმარება **4**

მუხლი 10. განცხადების წარდგენა **5**

მუხლი 11. განცხადების განხილვა **5**

მუხლი 12. სტიპენდიის დანიშვნა და ფინანსური დახმარების გამოყოფა **5**

მუხლი 13. სტიპენდიის და ფინანსური დახმარების შეწყვეტა **5**

თავი III. დასკვნითი დებულებები *6*

მუხლი 14. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი **6**

თავი I. ფინანსური მხარდაჭერის სახეები

მუხლი 1. რეგულაციის მიზანი

1. წინამდებარე რეგულაციის მიზანია ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ფილიალი) შეიქმნას სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები.
2. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს სტიპენდიებს, გრანტებს, სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიან პირობებს, 'work-study' პროგრამებს.

მუხლი 2. სტიპენდია

1. ფილიალში დადგენილია სტიპენდია, რომელიც ენიჭება სტუდენტს მისი გამორჩეული აკადემიური მიღწევებისთვის, ლიდერობის უნარების და სხვა გამორჩეული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისთვის.
2. სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად რექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. ფინანსური დახმარება

1. ფილიალში სტიპენდიასთან ერთად მოქმედებს ფინანსური დახმარების მექანიზმი, რომელიც ეძლევა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე სტუდენტს.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ფინანსური დახმარება შესაძლოა ასევე გულისხმობდეს შემცირებულ სწავლის საფასურს, აგრეთვე სწავლის საფასურის გადახდის სტანდარტული წესისაგან განსხვავებულ და მოქნილ მექანიზმებს.
3. ფინანსურ დახმარებას იღებს სტუდენტი, რომელიც არის

მუხლი 4. გარე დაფინანსების მოპოვება

1. ფილიალი ხელს უწყობს სტუდენტებს მოიპოვონ გარე დაფინანსება სწავლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით.
2. ფილიალი კონსულტაციას უწევს სტუდენტებს და ეხმარება მათ შესაბამის ორგანიზაციებთან და ფონდებთან კომუნიკაციის დამყარებაში.

მუხლი 5. "Work-Study" პროგრამები

1. ფილიალი ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ მათ შეძლონ სასწავლო პროცესის პარალელურად საქმიანობა და მიღებული შემოსავლით საკუთარი განათლების დაფინანსება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნების მიღწევისთვის, ფილიალი ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და კურიკულუმის ისე დაგეგმვას, რომ სტუდენტმა შეძლოს საგანმანათლებლო პროცესთან სამსახურის შეთავსება.

მუხლი 6. სტუდენტური სესხები

1. ფილიალი კონსულტაციას უწევს სტუდენტებს შეღავათიანი სასწავლო სესხების მიღებაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, ფილიალი კომუნიკაციას ამყარებს შესაბამის საბანკო და სხვა სახის დაწესებულებებთან სტუდენტებისთვის შეღავათიანი სასწავლო სესხების მოძიების მიზნით.

მუხლი 7. სტუდენტების კონსულტირება და ფინანსური განათლება

1. ფილიალი სტუდენტებს სთავაზობს კონსულტირებას იმ მიზნით, რომ მათ მიიღონ ინფორმაცია ფინანსური მხარდაჭერის ოფციების შესახებ და მართონ საკუთარი ფინანსები და ბიუჯეტი ეფექტიანად.
2. ფინანსური განათლებით ფილიალი ხელს უწყობს სტუდენტებში საკუთარი ფინანსების მართვის და ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

თავი II. სტიპენდიის და ფინანსური დახმარების გაცემის წინაპირობები და პროცედურა

მუხლი 8. სტიპენდიის გაცემის წინაპირობები

1. სტიპენდია ეძლევა სტუდენტს, რომლის GPA-ს შეადგენს 3.7 და უფრო მეტს მაქსიმუმ 4.0 GPA-დან.
2. სტიპენდია გაიცემა სტუდენტზე, რომელსაც გავლილი აქვს მინიმუმ 2 სემესტრი.

მუხლი 9. ფინანსური დახმარება

ფინანსური დახმარება ეძლევა სოციალურად დაუცველ სტუდენტს, რომლის სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 150 000-ის ტოლი.

მუხლი 10. განცხადების წარდგენა

1. სტუდენტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ სტიპენდიის ან ფინანსური დახმარების მიღების წინაპირობებს, უფლებამოსილია დადგენილ ვადაში დადგენილი ფორმის განცხადებით მიმართოს ფილიალის რექტორს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებასთან ერთად, სტუდენტმა ფილიალს უნდა წარუდგინოს:
   ა) CV;
   ბ) აკადემიური მოსწრების ტრანსკრიპტი;
   გ) ცნობა სიციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულის შესახებ (სოციალურად დაუცველი სტუდენტის და ფინანსური დახმარების მიღების განცხადების შემთხვევაში).

მუხლი 11. განცხადების განხილვა

1. სტუდენტთა განცხადებს განიხილავს რექტორის მიერ დაკომპლექტებული კომისია.
2. კომისია ადგენს სტუდენტის განცხადების შესაბამისობას ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.
3. დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომისია რექტორს წარუდგენს რეკომენდაციას სტუდენტისთვის სტიპენდიის დანიშვნის ან ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ.

მუხლი 12. სტიპენდიის დანიშვნა და ფინანსური დახმარების გამოყოფა

1. სტიპენდია ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველსემესტრულად.
2. ფინანსური დახმარების გამოყოფა ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველსემესტრულად.
3. სემესტრის დასრულების შემდეგ კომისია განიხილავს სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და სხვა მონაცემების შესაბამისობას სტიპენდიის გაცემის და ფინანსური დახმარების გამოყოფის წინაპირობებთან და რექტორს წარუდგენს რეკომენდაციას სტიპენდიის და ფინანსური დახმარების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 13. სტიპენდიის და ფინანსური დახმარების შეწყვეტა

1. სტუდენტს სტიპენდია და ფინანსური დახმარება უპირობოდ უწყდება, თუ ის დაარღვევს ფილიალში მოქმედ ეთიკის კოდექსით დადგენილ წესებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუშვებელია სტუდენტს განმეორებით მიეცეს სტიპენდია ან დაენიშნოს ფინანსური დახმარება.

თავი III. დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.